განმცხადებელი : გაგი მოსიაშვილი
თარიღი : 30-09-2021

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1;პრინციპი 5

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : შპს „მთავარი არხი“ გადაცემა „მთავარი შაბათს“ სიუჟეტის ავტორები ზურა პეტროსიანი, დავით გვალია.

სადავო მასალა : შპს „მთავარი არხი“ გადაცემა „მთავარი შაბათს“
https://mtavari.tv/news/56928-rogor-daigegma-nika-kvaratskhelias-mkvleloba?fbclid=IwAR2lZ99F8_a-YcgTxA8XFEH45TiQQ4_vEipi75_Z8auTt3rw8lGFqHee2Oc

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება:

2021 წლის 18 სექტემბერ 21:19 სთ-ზე ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ეთერში გავიდა სიუჟეტი „როგორ დაიგეგმა ნიკა კვარაცხელიას მკვლელობა/ ძმები კაკულიების სამოქმედო გეგმის დეტალები. აღნიშნულ სიუჟეტში 8:19 წუთიდან -8:53 წუთამდე ჟურნალისტი ავითარებს შემდეგ მოსაზრებას რომ ძმებ კაკულიებს დაუსჯელობის გარანტად მფარველობს ბატონი ოთარ ფარცხალაძე. ჟურნალისტი არ აკონკრეტებს თუ რაზე დაყრდნობით გაჩნდა ეს მოსაზრება არ ყვება ფაქტებს და რა თქმა უნდა არ/ვერ ასახელებს ინფორმაციის წყაროს. აღნიშნული ინფორმაციის გაჟღერებით ჟურნალისტი/ტელევიზია ლახავს ოთარ ფარცხალაძის ღირსებას. მასობრივ საინფორმაციო წყაროს იყენებს კონკრეტული ადამიანის დისკრედიტაციისათვის. საზოგადოება შეყავს შეცდომაში მათ არ აწვდის ზუსტ ინფორმაციას და თავს ახვევს მის მიერ გამოგონილ მოსაზრებებს. ყველა ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ სადაც იწყება სხვისი უფლებები და სიტყვის თავისუფლება არ უნდა გავიგოთ აბსოლუტურ უფლებად. (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 34 პუნქტი 2. ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები.). აქ აუცილებელია გავმიჯნოთ ჟურნალისტის საქმიანობის დროს კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით მომზადებული სიუჟეტი და ჟურნალისტის/ტელევიზიის როგორც ინდივიდის სუბიექტური დამოკიდებულებით, ყოველგვარი ფაქტებისა და წყროს გარეშე მხოლოდ თვისი მოსაზრებებით მომზადებული სიუჟეტი რომელიც აშკარად და დაუსაბუთებლად ლახავს სხვის უფლებებს, და ეს უკანასკნელი სწორედ ასეთ სიუჟეტად უნდა მივიჩნიოთ. ჟურნალისტს სიუჟეტის მომზადებისას არ უცდია რაიმე კომენტარი მიეღო ასეთ მძიმე ბრალდებაზე თავად ბატონ ოთარ ფარცხალაძისგან ის ფორმალურად მიდის მის საცხოვრებელ სახლთან და დაცვის თანამშრომელს ეკითხება არის თუ არა სახლში ფარცხალაძე, არ ცდილობს საქმის კურსში ჩააყენო დაცვის სამსახური თუ რა საკითხთან დაკავშირებით სურს მასთან გასაუბრება, არ ტოვებს საკონტაქტო ნომერს და საზოგადოებას უქმნის შთაბეჭდილებას რომ ბატონ ოთართან ვერ გავიდა კონტაქტზე. ასევე ჟურნალისტი არ უკავშირდება ოთარ ფარცხალაძის ინტერესების დამცველს გაგი მოსიაშვილს მიუხედავად იმისა რომ საყოველთაოდ ცნობილია რომ გაგი მოსიაშვილი ოთარ ფარცხალაძის ინტერესებს იცავს წლების განმავლობაში და არა ერთხელ გაუკეთებია კომენტარი ფარცხალაძის მიმართ გაჟღერებულ ცრუ ბრალდებებზე. აღნიშნული ქმედებით ჟურნალისტმა დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები კერძოდ: პრინციპი 1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. ჟურნალისტმა ყოველგვარი ფაქტების გარეშე, მტკიცებით ფორმატში ცილი დასწამა ოთარ ფარცხალაძეს კრიმინალური დაჯგუფების მფარველობაში, რითაც მან შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება და არ მიაწოდა ზუსტი ინფორმაცია. ამ კონკრეტულ სიუჟეტში ჟურნალისტი აშკარად არ აკეთებს მისი როგორც ჟურნალისტის შესაძლებლობების მაქსიმუმს მოიპოვოს და საზოგადოებას მიაწოდოს სრული სიმართლე ასეთ მძიმე და სენსიტიურ თემასთან დაკავშირებით, მიიღოს რაიმე სახის

კომენტარი თავად ბრალდების ობიექტისგან ოთარ ფარცხალაძისგან ან მისი უფლებადამცველისგან გაგი მოსიაშვილისგან პრინციპი 5. მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. 24.09.2021 წ. წერილით მივმართეთ მთავარი არხის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას, (იხ. დანართი 1,2) ინფორმაცია მივაწოდეთ და მოვუწოდეთ რომ ჩაესწორებინა აღნიშნული დაუზუსტებელი და მცდარი ინფორმაცია რაზეც არხის დირექციას რეაგირება არ ქონია. არხის უმოქმედობიდან გამომდინარე სახეზე გვაქვს საქართველოს ჟურნალისტური ქარტიის მე-5 პრინციპის დარღვევა. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მივმართავთ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას შეისწავლოს განცხადებაში მოყვანილი ფაქტები და დაადგინოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი და მე-5 პრინციპების დარღვევა.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები